112-ის დროით

№45

ბავშვთა-სამედიცინო. 2017

რედაქტორი ლიკა ალადაშვილი

ნომერზე მუშაობდნენ: სოფო ალექსიძე, ნატალია გელაშვილი, სალომე გელუტაშვილი, ნინო ეკიზაშვილი

დიზაინი თეა კუპრაძე

01 საქართველოს 112-ის დელეგაციის ვიზიტი აშშ-ში 83.4-10

02 სხვადასხვა ქვეყნის დელეგაცია სტუმრად 112-ში 83.11

03 „112-ის ჯოსმოსური ხომალდი" ბათუმში 83.12-13

04 2017 წლის აგვისტო-სექტემბრის ხანძრები საქართველოში 83.14-15

05 პოლიციელი, რომელიც ლტოლვილი ბავშვებისთვის ზღაპრებს წერს 83.17

01 საქართველოს 112-ის დელეგაციის ვიზიტი აშშ-ში

შსს-ს „112“-ის დეპარტამენტის წარმომადგენლები, აშშ-ში, ქ. ნიუ-იორკში გაემგზავრნენ. ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში „112“-ის დელეგაციის წევრები ნიუ-იორკის პოლიციის დეპარტამენტის გადაუდებელი დახმარების საკომუნიკაციო ცენტრ „911“-ის, საგანგებო სიტუაციების მართვის რეგიონალური ოფისის (OEM), სახანძრო/სამაშველო დეპარტამენტისა (FDNY) და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის (Northwell Health, EMS) სამუშაო პროცესებს გაეცნენ.

შსს-ს „112“-ის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე, თეა გზირიშვილი ვრცლად გვესაუბრა ვიზიტის შესახებ.

- რა მიზანს ემსახურებოდა 112-ის დელეგაციის ვიზიტი აშშ-ში?

- ამერიკაში გადაუდებელი დახმარების ნომერს 9-1-1 სისტემის მართვის დიდი გამოცდილება აქვს. პირველი ასეთი საკომუნიკაციო ხაზი გაიხსნა 1968 წელს და ამერიკაში ეს ციფრები უკვე დიდი ხანია, რაც საჯარო უსაფრთხოების სინონიმად იქცა. საქართველოში კი სულ რაღაც 5 წელია, რაც „112“ შეიქმნა, რომელიც ევროპული 112-ის და ამერიკული 911-ის ანალოგია.

„112“-ისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო 911-ში ვიზიტი, გამომდინარე იქიდან, რომ მათ აქვთ უკვე 40 წელზე მეტი ხნის გამოც-

დილება აღნიშნულ სფეროში და შესაბამისად, ვიზიტის მიზანიც სწორედ ის იყო, რომ ადგილზე ძირეულად შეგვესწავლა ამერიკაში მოქმედი გადაუდებელი დახმარების სისტემის მუშაობის სპეციფიკა, გაგვეზიარებინა მათი გამოცდილება და დაგვემყარებინა კონტაქტები ჩვენს უცხოელ კოლეგებთან სამომავლო თანამშრომლობისთვის, რომელიც ძალიან დაგვეხმარება „112“-ის მუშობის სწორად შეფასებასა და შემდგომში სწორი გზით განვითარებაში.

აღნიშნული ვიზიტი დაიგეგმა „112“-ის ინიციატივით, შს მინისტრისა და ჩვენი კურატორი-მინისტრის მოადგილის დიდი მხარდაჭერით და ქ. ნიუ-იორკში საქართველოს გენერალური კონსულის ქ-ნი დიანა ჟღენტის და მისი შესანიშნავი გუნდის დახმარებით, რისთვისაც ყველას ძალიან დიდი მადლობა მინდა გადავუხადო.

– ვიზიტის ფარგლებში, რომელ ცენტრსა, თუ დეპარტამენტს ეწვიეთ?

- მოგეხსენებათ, რომ როგორც 112-ის, ასევე 911-ის მუშობის პროცესი არის ერთი გრძელი ჯაჭვი, რომელიც იწყება 911-ში ზარის განხორციელებით და შემდგომში რეაგირებისთვის გადაეცემა სხვადასხვა მომიჯნავე სამსახურს, რომლებიც უკვე ადგილზე უშვებენ ბრიგადებს და ბოლოს ხდება საშედეგო ინფორმაციის მიღება. შესაბამისად, შევეცადეთ, რომ გავყოლოდით ამ პროცესს და გვენახა როგორც, 911-ის ქოლ-ცენტრი, აგრეთვე ყველა ის მომიჯნავე სამსახური, რომლებიც ჩართულნი არიან ზარის მართვის პროცესში. აქედან გამომდინარე, ვიზიტები შედგა ნიუ-იორკის პოლიციის დეპარტამენტის გადაუდებელი დახმარების საკომუნიკაციო ცენტრ „911“-ში, სახანძრო/სამაშველო დეპარტამენტში, საგანგებოსიტუაციების მართვის რეგიონალურ ოფისში და ნორთველის სასწრაფო-სამედიცინო ცენტრში.

– რას გვეტყვით ნიუ-იორკის 911-ის წარმომადგენლებთან შეხვედრის და ქოლ-ცენტრის შესახებ?

- 911-ში ძალიან ნაყოფიერი შეხვედრა შედგა საკომუნიკაციო ცენტრის ხელმძღვანელებთან, სასწავლო ცენტრის წარმომადგენელთან, აგრეთვე სასწრაფო, სახანძრო და საპატრულო დისპეტჩერების სუპერვაიზერებთან. მათ თავდაპირველად, პრეზენტაციის სახით გაგვაცნეს დეპარტამენტის მუშაობის სპეციფიკა და დეტალური ინფორმაცია მოგვაწოდეს ერთიანი ნომრის ფუნქციონირების შესახებ. ამის შემდეგ, გადავედით კითხვა-პასუხის რეჟიმზე, რამაც საშუალება მოგვცა, ჩვენთვის ყველა საინტერესო საკითხზე ამომწურავი ინფორმაცია მიგვეღო. გაგვიზიარეს თავისი გამოცდილება ქოლ-ცენტრის მოწყობისა და მომიჯნავე სამსახურებთან კოორდინირებულად თანამშრომლობის შესახებ, ფუნქციონირებისთვის აუცილებელი საინფორმაციო ტექნოლოგიების, მუშაობის პროგრამული და ტექნიკური ასპექტების, პროფესიონალი კადრების გადამზადების პროცესებისა და სხვა ჩვენთვის ძალიან საინტერესო საკითხების შესახებ. გარდა ამისა, დელეგაციის წევრებს საშუალება მოგვეცა პირადად დაგვეთვალიერებინა დარბაზი, გავსაუბრებოდით ოპერატორებს და უშუალოდ ჩავრთულიყავით შემოსული შეტყობინებების მართვის პროცესში.

ნიუ-იორკში 911-ზე დაკავშირება შესაძლებელია ზარის, მოკლე ტექსტური შეტყობინების, ქუჩაში დამონტაჟებული ღილაკებისა და სახანძრო დეტექტორების საშუალებით. თუმცა უპირატესობა ენიჭება ხმოვან ზარს და ასეთი გამოთქმაც აქვთ, რომ „თუ შესაძლებელია დარეკე, მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში დაამესიჯე“(Call if you can, text if you must).

გავეცანით 911-ის CAD პროგრამას, რაშიც მუშაობენ ოპერატორები და დისპეტჩერები. როგორც ჩვენთან, იქაც ინციდენტებს აქვთ 3 პრიორიტეტი და მაღალპრიორიტეტულ საქმეებზე დაუყოვნებლივ ხდება რეაგირება.

ნიუ-იორკის 911-ში მუშაობს სულ 1200 ოპერატორი და პოლიციის დისპეტჩერი. აქვთ 3 ძირითადი და 3 დამატებითი ცვლა. თითოეულ ცვლაში არის 100 ოპერატორი და 100 პოლიციის დისპეტჩერი, რომლებიც მორიგეობენ დღეში 8-9 საათის განმავ-

ლობაში. თითოეულ ცვლას ჰყავს თავისი სუპერვაიზერი. აქ ხდება მარტო საპატრულო საქმეების დისპეტჩერიზაცია, სამედიცინო და სახანძრო საქმეების გადართვა კი ხდება სამედიცინო და სახანძრო დიპეტჩერებთან, რომლებიც სტრუქტურულად ეკუთვნიან სახანძროს დეპარტამენტს, მაგრამ თავის სუპერვაიზერებთან ერთად განთასებულნი არიან იგივე სივრცეში 911-ის ოპერატორ/დისპეტჩერებთან. ადგილმდებარეობის განსაზღვრა ხდება მომენტალურად ზარის შემოსვლისთანავე, თუმცა მისამართი ზუსტდება ინიციატორთან. საჭიროების დროს ოპერატორი ხაზზე რჩება ბრიგადის მისვლამდე და ინიციატორს უწევს კონსულტაციას.

24 საათის განმავლობაში შედის დაახლოებით 36 000 ზარი და აქედან მხოლოდ 18 000-მდეა რეალური საქმეები, რასაც მოსდევს რეაგირება. შესაბამისად, როგორც საქართველოში, ასევე იქაც ძალიან დიდია არამიზნობრივი ზარების რიცხვი. ცრუ გამოძახებებზე აქვთ ძალიან მკაცრი სანქციები.

იმ შენობაში სადაც ჩვენ ვიყავით, არ ჰქონდათ ოპერატორ-დისპეტჩერებისთვის მოსასვენებელი გარემო, თუმცა უახლოეს პერიოდში აპირებენ ახალ შენობაში გადასვლას, სადაც მათი თქმით იქნება ყველა ის საშუალება, რომ დასაქმებულმა კომფორტულად იგრძნოს თავი. როგორც ჩვენთან, იქაც აკრძალულია საკომუნიკაციო საშუალებების დარბაზში შეტანა და აქვთ საკმაოდ მკაცრი დისციპლინური წესები.

მოსახლეობასთან კომუნიკაციისთვის იყენებენ სოციალურ ქსელს - Twitter-ს, რომელიც აშშ-ში ძალიან აქტუალურია საქართველოსგან განსხვავებით.

– რა განსხვავებაა ნიუ-იორკის 911-სა და საქართველოს 112-ს შორის?

- ზოგადად უფრო მეტი პარალელის გავლება შეიძლება საქართველოს 112-სა და 911-ის მუშაობას შორის, თუმცა, რა თქმა უნდა, არის განსხვავებებიც. მაგალითად, როგორც ჩვენთან მათთანაც ძალიან დიდი

ყურადღება ექცევა ოპერატორების გადამზადება-კვალიფიკაციის ამაღლებას. შემუშავებული აქვთ სხვადასხვა სახის ტრენინგ მოდულები. აქვთ 4 სატრენინგო ოთახი, რომლებიც მდებარეობს ნიუ-იორკის სხვადასხვა რაიონში. რეკრუტირების პროცესიც ძალიან ჰგავს ჩვენსას, თუმცა განსხვავება არის ის, რომ იქ ეს პერიოდი გრძელდება ბევრად უფრო დიდხანს, 4-5 თვე.

აქვთ ძალიან განსხვავებული ინფრასტრუქტურა. დარბაზი არის ძალიან დიდი, სადაც განთავსებულნი არიან როგორც ოპერატორები, აგრეთვე ყველა მომიჯნავე სამსახურის დისპეტჩერი და მათი სუპერვაიზერები. ერთ სივრცეშია ყველა თავმოყრილი, თუმცა ამავე დროს ყველა დანაყოფს აქვს თავისი პირადი სივრცე, შუშის გამყოფით.

ჩვენგან განსხვავებით ნიუ-იორკში 9-1-1ზე დაკავშირება შეუძლებელია ვიდეო ზარის და აპლიკაციის საშუალებით. უცხოენოვანი ზარების შემთხვევაში კი გაფორმებული აქვთ ხელშეკრულება კომპანიასთან, რომელიც თითქმის ყველა ენაზე ემსახურება უცხოენოვან მოქალაქეებს. ეს აპრობირებული მეთოდია ევროპაშიც.

რაც შეეხება ქრონიკებს, იქაც ბევრია მსგავსი ზარები. ჩვენს მსგავსად რეაგირებას ახდენენ ყველა ზარზე, თუმცა განსხვავება ისაა, რომ ქრონიკისგან შემოსულ ზარზე მაშინვე ატყობინებს პროგრამა ოპერატორს, რომ ეს ნომერი ეკუთვნის ქრონიკს და მათ მიმართ ხშირად იყენებენ ფულად ჯარიმებსაც.

განსხვავებაა ისიც, რომ მათთან ინსპექტირების სამსახურის ფუნქციების დიდ ნაწილს ითავსებს ცვლის სუპერვაიზერი და განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება მომსახურების ნაწილზე და იმაზე, რომ ოპერატორმა ზარი არ გაუთიშოს ინიციატორს. ყურადღება მივაქციე იმ ფაქტსაც, რომ დეპარტამენტის ყველა თანამშრომელი ატარებს უნიფორმას.

ჩვენთვის ძალიან სახალისო იყო მაგალითად ის ფაქტი, რომ მათთან ერთ-ერთი სასიხარულო წახალისების ფორმაა თავისუფალი პარკინგით დაჯილდოება))

– ქ-ნო თეა, თუ შეიძლება მოგვიყევით სხვა ცენტრებსა, თუ დეპარტამენტში ვიზიტის შესახებაც

- როგორც ზევით მოგახსენეთ, ვიზიტი შედგა ნიუ-იორკის სახანძრო/სამაშველო დეპარტამენტშიც (NDNY), რომელიც დაარსდა 1981 წელს. იგი ახორციელებს ქალაქის მასშტაბით საგანგებო სიტუაციებზე ოპერატიული რეაგირების ორგანიზებას და კოორდინირებას უწევს შესაძლო საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილების, მათი შედეგების შერბილებისა და ლიკვიდაციის ღონისძიებებს. ამუშავებს პროფესიული მომზადების გეგმებს, სასწავლო პროგრამებსა და სახელმძღვანელოებს. ატარებს შესაბამის სწავლებებს მაშველ-მეხანძრეთა მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით; ნიუ-იორკი დაყოფილი აქვთ 5 ნაწილად და ყველა მხარეს აკონტროლებენ თავისი მიმართულებით. აწარმოებენ სტატისტიკებს, ამზადებენ რეპორტებს იმ პერიოდში მომხდარ კრიტიკულ დანაშაულებზე. აკვირდებიან სახანძრო და სასწრაფო გამოძახებებს, ეკიპაჟებს, საქმის სტატუსებს და საჭიროების შემთხვევაში ეკიპაჟებს აწვდიან დამატებით ინფორმაციას. ამ დეპარტამენტიდან არ ხდება ბრიგადების გაგზავნა, ამას აკეთებენ ის სახანძროს და სასწრაფოს დისპეტჩერები, რომლებიც სხედან 911-ის ოპერატორებთან ერთად ერთ სივრცეში, თუმცა სტრუქტურულად ექვემდებარებიან ამ დეპარტამენტს.

მაშველ-მეხანძრეთა რეკრუტირება ხდება 4 წელიწადში ერთხელ, თუმცა კანდიდატების მისაღები რაოდენობა შესაძლოა აღემატებოდეს 5 000-ს.

აგრეთვე, ვეწვიეთ საგანგებო სიტუაციების მართვის რეგიონალურ ოფისს (OEM), რომელიც დაარსდა 1996 წელს. იგი აერთიანებს 180-200 თანამშრომელს. მათი მუშაობის ძირითადი მიზანია, მომზადებულები დახვდნენ საგანგებო სიტუაციებს. შემუშავებული აქვთ იმ ტერიტორიაზე მოსალოდნელ სტიქიურ, თუ სხვა უბედურებებთან გასამკლავებელი სამოქმედო გეგმა. აქტიურად ეწევიან საგანმანათლებლო კამპანიებს მოქალაქეებისთვის, რომლებიც ეხმარება ხალხს უფრო მომზადებულები დახვდნენ ინციდენტებს და უფრო დაცულად იგრძნონ თავი ამა თუ იმ საგანგებო სიტუაციების დროს. ზოგადად, აშშ-ში ძალიან დიდია სამოქალაქო ჩართულობა და მოხალისეებიც ბევრი ჰყავთ.

ოფისი კოორდინირებულად მუშაობს მომიჯნავე სამსახურებთან. აგრეთვე მონიტორინგს უწევენ ქალაქის მასშტაბით რადიო სიხშირეებს, ადგილობრივ თუ საერთაშორისო მედიას, ამინდს 24 საათის განმავლობაში და აგრეთვე, მათი პირდაპირი ვალდებულებაა შეიმუშაონ სხვადასხვა ალტერნატიული საშუალება მოქალაქეებისთვის მოსალოდნელი უბედურების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით (Public Alart Systems). მათი მისიაა -„მნიშვნელოვანია, კრიტიკული ინფორმაციის სწორ დროში მიწოდება.“

მასშტაბური შემთხვევების დროს ამ საგენტოში ხდება ქალაქის მერის და ყველა მნიშვნელოვანი უწყების ხელმძღვანელის ერთად შეკრება, მათ შორის საინფორმაციო ხაზის 311-ის ხელმძღვანელის, გაერთიანებული სასტუმროების ასოციაციის უფროსის, სადაზღვევო კომპანიის წარმომად-

გენლების და სხვა. ყველას აქვს წინასწარ განსაზღვრული თავისი სამუშაო ადგილი. აკვირდებიან მიმდინარე მოვლენებს, მობილიზებული ყავთ თავისი რესურსი ინციდენტის ადგილზე, ვისგანაც იღებენ ინფორმაციას და შემდგომში ხდება ერთობლივი გადაწყვეტილების მიღება.

და ბოლოს, ვეწვიეთ ნორთველის სასწრაფო-სამედიცინო ცენტრს. ეს გახლავთ მაღალი დონის კერძო საავადმყოფო, რომელ საც აქვს თავისი კერძო ქოლ-ცენტრი შესანიშნავი ინფრასტრუქტურით მშვიდ და წყნარ უბანში. ცენტრში ვიზიტის მიზანი იყო ადგილზე გვენახა და უშუალოდ მომხმარებლისგან მიგვეღო ინფორმაცია პრიორიტეტების განმსაზღვრელი პროგრამის შესახებ (PRoQA). ეს არის მსოფლიოში აღიარებული და წამყვანი გადაუდებელი დახმარების ინციდენტის ტიპების და საქმის პრიორიტეტების განმსაზღვრელი პროგრამული პაკეტი, რომელიც ნათარგმნია 22 ენაზე და დანერგილია 44 ქვეყანაში.

გვაქვს დიდი სურვილი, რომ აღნიშნული პროგრამა დაინერგოს საქართველოშიც. თუმცა, ეს დაკავშირებულია დიდ ხარჯებთან, ამიტომ მნიშვნელოვანი იყო დავრწმუნებულიყავით პროგრამის უპირატესობასა და უნიკალურობაში.

– რა იყო ყველაზე დასამახსოვრებელი ვიზიტის დროს?

- ჩემთვის ყველაზე ამაღელვებელი და დასამახსოვრებელი იყო 911-ის ოპერატორთან ერთად უშუალოდ ზარის პროცესში ჩართვა. რამდენიმე ზარი შემოგვივიდა, ერთ-ერთი ეხებოდა იარაღით თავდასხმას და მინდა აღვნიშნო, რომ 911-ს ყავს მაღალკვალიფიცირებული და გამოცდილი ოპერატორები. ისინი ნამდვილად თავისი საქმის პროფესიონალები არიან.

კიდევ რაც ჩემთვის უცნაური და სახალისო იყო, ეს გახლავთ ხმაურის შუქნიშანი, რომელიც წითლად ინთება თუ დარბაზში ხმაურის დონე იზრდება...

– თუ იყო ისეთი რამ, რისი დანერგვაც საქართველოს 112-ში გადაწყვიტეთ?

- მინდა აღვნიშნო, რომ 911-ის მონახულების შემდეგ კიდევ უფრო დავრწმუნდი იმაში, რომ საქართველოს 112 სწორი მიმართულებით ვითარდება და აგრეთვე გამყარდა ჩემი რწმენა იმ სამომავლო გეგმებისა და

პროექტების შესახებ, რომლებიც გვინდა რომ მომავალში განვახორციელოთ. მათ შორის, არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროექტი, ინციდენტის ტიპების და საქმის პრიორიტეტების განმსაზღვრელი პროგრამული პაკეტი (PRoQA), რომელზეც უკვე ვისაუბრე ზევით.

მეორე, აგრეთვე უმნიშვნელოვანესი 112-ის სწორი ფუნქციონირებისთვისა და დახმარების სწრაფად აღმოჩენისთვის არის ზარის ინიციატორის ლოკაცის დადგენა. აგრეთვე ლიცენზიები, კომპიუტერული სისტემების დაცვის საშუალებები (firewall), რომელიც იცავს პროგრამას ჰაკერების თავდასხმისგან.

და ბოლოს, ერთიანი სივრცის პრინციპი (ერთიანი სადისპეტჩერო). სწორედ ასე ვფიქრობდით და ნანახმაც გაამყარა ჩვენი აზრები, იმის შესახებ, რომ საუკეთესო გამოსავალი სწრაფი და კოორდინირებული მუშაობისთვის და რეაგირებისთვის არის, როგორც 112-ის ოპერატორ/დისპეტჩერების, აგრეთვე ყველა მომიჯნავე სამსახურების და მათი სადისპეტჩეროების ერთ სივრცეში განთავსება.

– რას გვეტყვით სამომავლო თანამშრომლობის გეგმებთან დაკავშირებით? იგეგმება თუ არა თანამშრომლობის გაღრმავება ამერიკის 911-თან?

- რა თქმა უნდა, იგეგმება. ჩვენ მათ უკვე გავუგზავნეთ სამადლობელი წერილი და შევთანხმდით სამომავლოდ თანამშრომლობის გაღრმავებასა და ერთიანი საგანგებო სისტემის დანერგვის პროცესში გამოცდილების გაზიარებაზე.

02 სხვადასხვა ქვეყნის დელეგაცია სტუმრად 112-ში

შინაგან საქმეთა სამინისტროს „112“-ის დეპარტამენტს, მიმდინარე წლის აგვისტოს და სექტემბრის თვეში, ინდონეზიის პოლიციის სამმართველოს, ლიტვის პოლიციის სკოლის და ბელარუსის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები ესტუმრნენ.

სტუმრები საქართველოში გადაუდებელი დახმარების მართვის სფეროში არსებულ სიტუაციას გაეცნენ და ქვეყანაში მოქმედი გადაუდებელი დახმარების ნომრის - „112“-ის ფუნქციონირების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიიღეს. დელეგაციის წევრებს საშუალება მიეცათ ადგილზე გაცნობოდნენ „112“-ის ოპერატორების მუშაობის სპეციფიკას და დაკვირვებოდნენ ზარის მიღებისა და შეტყობინების დამუშავების პროცესს.

სტუმრებმა ცენტრი დაათვალიერეს და „112“-ის წარმომადგენლებისგან სამახსოვრო საჩუქრები მიიღეს.


ლიტვის პოლიციის სკოლის წარმომადგენლები, 22.09.2017


ბელარუსის რესპუბლიკის შსს-ს წარმომადგენლები, 25.09.2017

ინდონეზიის პოლიციის სამმართველო, 03.08.2017

03 „112-ის კოსმოსური ხომალდი“ ბათუმში

შინაგან საქმეთა სამინისტრომ, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კამპანიის - „შენი გულისთვის, შენი უსაფრთხოებისთვის“ ფარგლებში, მიმდინარე წლის 12 აგვისტოს, ბათუმში, ანბანის კოშკის მიმდებარე ტერიტორიაზე, მოქალაქეებს იმიტირებულ უსაფრთხო ქალაქში - „ეს ჩემი ქალაქია“ უმასპინძლა.

შსს-ს იმიტირებულ უსაფრთხო ქალაქში „112“-ის დეპარტამენტმა ინოვაციური საბავშვო პროექტი - „112-ის კოსმოსური ხომალდი“ წარმოადგინა. მოზარდებმა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, სპეციალურად მათთვის შექმნილ კომპიუტერულ თამაშებში მიიღეს მონაწილეობა და შეიტყვეს, თუ როგორ უნდა მოიქცნენ გადაუდებელ შემთხვევებში.

აღსანიშნავია, რომ ბათუმში, „112“-ის მიერ წარმოდგენილ პროექტში 1000-მდე ბავშვმა მიიღო მონაწილეობა.

112
პოლიცია

112
ROMANI JEANS
A.J.

04 2017 წლის აგვისტო-სექტემბრის ხანძრები საქართველოში

საქართველოში, მიმდინარე წელს, წინა წლებთან შედარებით ხანძრების დიდი რაოდენობა დაფიქსირდა. 2 აგვისტოდან 31 აგვისტოს პერიოდში დაახლოებით 28 ხანძარი მოხდა, საიდანაც 9 ხანძრის, ლიკვიდირებას რამდენიმე დღეც კი დასჭირდა. სექტემბრის თვეში კი, დაახლოებით 15 ხანძარი დაფიქსირდა.

ქვემოთ გთავაზობთ აღნიშნული ხანძრების ქრონიკას:

2 აგვისტო - კახეთის გზატკეცილი

7 აგვისტო - კახეთი, ლაგოდეხი, სოფელი თელა

8 აგვისტო - თბილისი, მთაწმინდის ფერდობი; მცხეთა

10 აგვისტო - გორი

13 აგვისტო - მესტია

19 აგვისტო - ახმეტა

20 აგვისტო - ბორჯომი, სოფელი დაბა; დაბა სურამი; ამბროლაური, სოფელი ჩორჯი; ბორჯომი, სოფელი ქვაბისხევი

21 აგვისტო - დუშეთი; ბოლნისი

22 აგვისტო - ატენის ხეობა; დიდი ლილო

23 აგვისტო - დუშეთი

25 აგვისტო - კასპი; თბილისი, ლილო

28 აგვისტო - ახალციხე; კახეთი; ახალქალაქი

29 აგვისტო - აბასთუმანი; საგარეჯო; კახეთი, სოფელი ლაფანყური; დუშეთი

31 აგვისტო - მცხეთა, სოფელი ნაფეტვრები

1 სექტემბერი - მთაწმინდის ფერდობი

2 სექტემბერი - ყვარელი სოფელი შილდა; მთა- თუშეთი, სოფელი ხახაბო; ყაზბეგი, სოფელი ჯუთა; კახეთი, სოფელ ართანა

3 სექტემბერი - ხულოს მუნიციპალიტეტი, შავნაბადას მთა

6 სექტემბერი - ზაჰესი

16 სექტემბერი - ბაკურციხის ტყე

18 სექტემბერი - ხაშური, სოფელი მიწობი

19 სექტემბერი - გორში გორიჯვრის ფერდობი; გომბორი ქედი;

21 სექტემბერი - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელი ამლივი

22 სექტემბერი - ბორჯომის ხეობა, დაბა წაღვერი

24 სექტემბერი - კახეთი, წნორი

© Miqael Kavtaradze

ეს საინტერესოა...

05 პოლიციელი, რომელიც ლტოლვილი ბავშვებისთვის ზღაპრებს წერს

ტკბილი და ოპტიმისტური ისტორია სიყვარულის, თანაგრძნობის და სოლიდარობის გრძნობების სიძლიერეზე - „შაქრიანი რეცეპტი“ პირველი ბერძნული წიგნია, რომელიც გაერო-ს უმაღლესი კომისარიატის ეგიდის ქვეშ გამოიცა, ლტოლვილთა დაცვისა და გლობალური პროგრამა „Back2School“-სთვის თანხების მოპოვების კამპანიისათვის. აღნიშნული პროგრამა მსოფლიოს მასშტაბით ლტოლვილი ბავშვების განათლების სისტემაში განმეორებით ჩართვას ემსახურება, ბავშვებისა, რომელთაც ომის მიერ წართმეული ოცნებები სწავლის მეშვეობით უნდა დაუბრუნდეთ - სწავლა ხომ უფლებაა და არა პრივილეგია! სწორედ ამ მიზანს ემსახურება ახალგაზრდა ბერძენი მწერლის და პოლიციელის - ფოტინი კონსტადოპულუს ზღაპარი, რომელიც არარასიზმს, სოლიდარობისა და ურთიერთთანაგრძნობის საფუძველს უნერგავს ბავშვებს.



112

www.112.gov.ge
www.facebook.com/112.ge